

*ხვთისო მამისიგეღიშვილი*

**ქისტური ხმით ნატირლები და სამგლოვიარო რიტუალები**

დროთა განმავლობაში პანკისელი ქისტების ყოფაში გლოვის მრავალფეროვანი წესები და ტრადიციები ჩამოყალიბდა. პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ტექსტებისა და რიტუალების მრავალფეროვნება ძირითადად მაჰმადიანური და ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების სინკრეტიზმმა, მიგრაციულმა პროცესებმა და ქართული კულტურის ძლიერმა გავლენამ განაპირობა.

გლოვა მიცვალებულის გაპატიონების ერთ-ერთი აუცილებელი თანხლები ატრებიუტია. პანკისელ ქისტებში ადამიანის სიკვდილით გამოწვეული გლოვა შედგება სხვადასხვა ყოფითი პლასტებისაგან, რომელთა შორის საყურადღებოა გლოვის სიტყვიერი გამოთქმები: ხმით დატირება ანუ *აელხარ*, *ბუახამ*, მისამძიმრება – *ქოღამბარ*, მიცვალებულის სულის სამწყალონოდ აღვლენილი საგალობლები – *ნაამშ*, *ძიქარი*, აგრეთვე ეპიტაფიები და სხვ.

მიცვალებულს ქისტები ერთი ან ორი დღე-ღამის განმავლობაში სახლში, მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ დიდ ოთახში ათავსებენ, სადაც ჭირისუფლები და სამძიმრის სათქმელად მოსული მოტირალი ქალები სხდებიან. მიცვალებულს ოთახის შუაგულში წინასწარ მომზადებულ ხალიჩით დაფარულ ტახტზე ასვენებენ. მიცვალებულსაც ზემოდან სუღარას აფარებენ. ამ ბოლო დროს, რაც პანკისელ ქისტებში ისლამი გაძლიერდა, მიზანშეწონილი გახდა მწვანე სუღარა.

ტახტის გარშემო რამდენიმე მწკრივად შემორიგებული არის სკამები. წინა რიგში ძირითადად ჭირისუფლები სხდებიან, ხოლო მომდევნო რიგებს ნათესავეები და სამძიმრის სათქმელად მოსული ქალები იკავებენ.

მიცვალებულის ახლობლები შავი ფერის ტანსაცმლით იმოსებიან. წინათ შავებს ჩეჩნეთ – ინგუშეთშიც ატარებდნენ. პანკისელი ქისტები გლოვის ნიშნად შავი ფერის სამოსს იცვამდნენ როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა მმართველობის პერიოდში. ზოგიერთები, განსაკუთრებით შვილმკვდარი დედები, შავებს სიკვდილამდეც ატარებენ. ისევე როგორც ქართველებში, ქისტებშიც შავების ჩაცმა უმეტესად მიღებული იყო ერთ წლამდე. ზოგიერთები შავებს ორმოცამდე ატარებენ, ზოგიც 5-10 წლის განმავლობაში. ეს დამოკიდებულია სიკვდილის მოტივზე, მიცვალებულის ასაკზე, ავტორიტეტსა და ჭირისუფალთან მის ურთიერთობაზე. შავების

ჩაცმას ქისტურად *‘ყერჯა დუღხარ’* ჰქვია. თუმცა ამ ბოლო დროს, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლისა და მაჰმადიანური რწმენის გაძლიერების შემდეგ მიცვალებულზე შავი ფერის ტანსაცმლით თითქმის აღარ იმოსებიან.

ქისტები, ისევე როგორც ქართველები, მიცვალებულს ღვთისმშობლისა და სანამ ციდან ცისკრის ვარსკვლავი გაქრება, მიცვალებულს სპეციალურ ტახტზე აბანავენ. გასაბანებელი ტახტი, ისევე როგორც მიცვალებულის საფლავზე გადასასაფენებელი საკაცე – *ლაამი*, ხორცის მოსახარში ქვაბები და საქელეხო ჭურჭელი, მთელი სოფლის მოსახლეობის საერთო საკუთრებაა და ჭირისუფალი მასში ფულს არ იხდის. ეს ნივთები სპეციალურ ფარდულში ინახება. ზოგჯერ ეს ნაგებობა სასაფლაოზეა.

გარდაცვლილ მამაკაცს მამაკაცები აბანავენ, ხოლო ქალს – ქალები. მიცვალებულის გაბანვა და შემოსვა რიტუალური ხასიათისაა და მას გრადიციების მცოდნე მაჰმადიანები ასრულებენ. მიცვალებულის გაბანვისა და შემოსვისათვის ჭირისუფლები მათ გარკვეულ გასამრჯელოს უხდიან. მიცვალებულისთვის ტანსაცმლის შეკერვა – მომზადება მორწმუნე ქალების წინამძღოლს, *თამდას* ევალება. 2004 წელს ამ საქმეს სოფელ ჯოყოლოში 72 წლის ძარგო ბათაკას ასული ბადაკაშვილი უძღვებოდა. ‘ყველაზე კარგად მე ვიცოდი მიცვალებულისთვის წესის აგება და ჩემზე უფროსმა, დედის, ბებულის გოლმა ქალებმა დამაკისრეს ამ რიტუალის შესრულება’. – მითხრა ძარგო ბადაკაშვილმა.

სოფელ დუისში მიცვალებულის გაპატიოსნებას ალცანეი ხანგოშვილი ხელმძღვანელობს. მიცვალებულის გასაპატიოსნებლად და მისთვის ტანსაცმლის შესაკერად ოჯახის წევრები ყილულობენ პირსახოცს, საპონს, მიტკალს, მაკრაგელს, ნემსს, ძაფს, ბამბას, სუნამოს, აბრეშუმის თოქსა და სურას თეთრი მონარით.

სასუდარე მიტკალი თეთრი, ყვითელი ან მწვანე ფერისაა. მიცვალებულს ესაჭიროება 30 მეტრი მიტკალი. მიტკლისაგან იკერება მაღლიანი პერანგი – *მეელ ქუოზ*, საცვლები, ჩალმა – *თუჩხ* და წინდები. მაღლიანი პერანგი თავის გასაყოფად მხოლოდ შუა ადგილზე არის ჩაჭრილი და სახელოები არ უკეთდება. დანარჩენ სამოსს ჩვეულებრივ კერავენ. წინდის წევრები და ქუსლიც ღია

უნდა იყოს. ზოგიერთ ქისტს ეს ნივთები წინასწარ აქვს მომზადებული და აღსასრული დღისთვის განსაკუთრებულ ადგილზე ინახავს.

მიცვალებულს თბილი წყლითა და საპნით ბანენ, თმასა და წვერს პარსავენ და პირსახოციტ ამშრალევენ. მას სახეზე, იღლიებსა და თითებს შუა ბამბას უდებენ, ცხვირსა და ყურებს ბამბით უვსებენ. შემდეგ აცმევენ გამზადებულ მიტკლის განსაცმელს: სამადლო კაბას, საცვლებს, წინდებსა და ჩალმას, ხოლო ქალებს თავშალს აფარებენ. ბოლოს განზე, თავიდან ფეხებამდე, მთელ სიგრძეზე შემოახვევენ სუდარას (*მერჩ*). თავთან და ფეხებთან სუდარას აბრეშუმის ზონარით კრავენ. ამის შემდეგ მიცვალებულის სახის გამოჩენა აღარ შეიძლება.

დიდიდან ჭირისუფლის ნათესავეები, ახლობლები და მეზობლები იწყებენ მიცვალებულის ქელებსათვის სამზადისს. ქალები პურს აცხობენ, კაცები საქონელს ხოცავენ, ხორცს ჭრიან და მოსახარშად დიდი ქვაბით ცეცხლზე დგამენ. ქელებში დასაკლავი საქონლის რაოდენობას მოლები განსაზღვრავენ. მოლებს აქვთ ცნობები ჭირისუფლის ოჯახის მაგერიალური მდგომარეობისა თუ ფინანსური საშუალების შესახებ და ამის მიხედვით გვემევენ საკლავის რაოდენობას. არიან ისეთებიც, რომლებიც ყურს არ უგდებენ მოლების რჩევას და თვითონ განსაზღვრავენ, თუ როგორი პატივი უნდა სცენ თავიანთ მიცვალებულს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება განაწყენებული მოლები არც მივიდნენ დაკრძალვაზე. ამიგომ ოჯახის უფროსი იძულებული ხდება სხვა სოფლიდან მოიყვანოს მოლები. ქელებში პანკისელი ქისტები ძირითადად ხოცავენ სამ დიდ საკლავს, ცხვარს კი დაკრძალვის წინა საღამოს კლავენ და მეორე დღით მთლიანად მოხარშულს თავისივე წვნით მესაფლავეებს სასაფლაოზე უგზავნიან.

საფლავის გასაჭრელად მესაფლავეები მიცვალებულის დაკრძალვის დღეს, დილით მიდიან. უფრო მუსკად მაშინ, როგორც ქისტები იტყვიან, როცა მზე ერთი – ორი თოკის დადებამე ამოვა – *‘ცნა-ში ქორც გიერგ დილალ მალხ იალ ბელჩა’*.

პანკისელი ქისტები მიცვალებულის ქელებში სტუმრებს არ ეპატივებინან. მიცვალებულის ოჯახში მიდის ყველა, ვისაც მიესვლება, გული შესტკივა და ჭირისუფალთან მისამძიმრება უნდა.

დიდიდანვე იწყება ხალხის ჯგუფ-ჯგუფად მისვლა სამძიმარზე. ემოს ერთ კუთხეში, გამორჩეულ ადგილზე, სხედან ისლამის მიმდევარი მოხუცები, ყველანი ქელებით, ზოგიერთს თავზე ფაფახი ახურავს. მათ შორის არის არაბულ ენაზე მაჰმადიანური ლოცვის მცოდნე ხანდაზმული კაცი, ძირითადად მოლა, რომელსაც ჭირისუფლებისგან სამძიმრის მიღება აქვს მინდობილი. სამძიმარს ქისტურად ჰქვია *ქოღამ*, რომელიც შესაძლოა ქართული გოდებიდან მომდინარეობდეს (*ქოღამ ← გოღამ ← გოდება*).

სამძიმარზე მისული მამაკაცები ეზოში მოხუცი მოლების სიახლოვეს მიდიან. მათ შორის ყველაზე უფროსი ამბობს:

– ასსალამ ალეიქუმ!

შემდეგ ყველანი ფეხზე დგებიან და ღვთისადმი თხოვნის ნიშნად იდაყვებით ორივე ხელს გამოიშვერენ. ამასობაში სამძიმრის მიმღები მოლა არაბულ ენაზე წარმოთქვამს ლოცვას, უფალს მიცვალებულისთვის შენდობას სთხოვს და ევედრება სამოთხის ღირსი გახადოს. ამას პქვია *ლოჟ*. დანარჩენები, რომლებსაც ხელები აქვთ გამოშვერილი, ამბობენ: – ამინ, ამინ! მოლა რომ მორჩება *ლოჯს*, ამბობს სიგყვას – *ფათიჯა*. ამის შემდეგ ზოგიერთი არაბულ ლოცვასაც დააყოლებს ხოლმე: *ბისმილაჰი რაჰმანი, რაჰიმ და ა. შ.*

ბოლოს სამძიმრის მიმღებს ეუბნებიან:

– *დაალ გაეჩ დუაილა!* – ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა შენდობა მისცეს, ღმერთმა აპატიოს! – *დაალ ელყამან აუაჰლა!* – ღმერთმა სამოთხეში ამყოფოს.

აღსანიშნავია, რომ ქისტებში ‘*დაალ გაეჩ დუაილა*–ს’ ამბობენ მხოლოდ მაშინ, თუ გარდაცვლილი მაჰმადიანია.

ამის შემდეგ სამძიმრის სათქმელად მოსული მამაკაცები უშუალოდ ჭირისუფალთან მიდიან თანაგრძნობის გამოსახატავად. ჭირისუფალი შეიძლება იყოს ერთი, ორი ან მეტი. ხშირად ჭირისუფალთა შორის დგას გვარის უფროსიც. ჭირისუფალი მამაკაცები დგანან ეზოში, სახლის კარებთან ან სახლის შესასვლელი კარების ახლოს.

სამძიმრის სათქმელად მოსულ მამაკაცთა შორის ყველაზე უფროსი ჭირისუფალს ეუბნება:

– მოულოდნელი უბედურება დაგატყდათ, ამ უბედურებამ ყველანი დაგვამწუხრა. ძნელი გადასაგანია ეს მწუხარება. რას იზამთ, განგების საქმეა, ალბათ ასე ეწერა, ღმერთმა აცხონოს! კარგი კაცი იყო, დაერდომილსა და დაჩაგრულს ეხმარებოდა, ღმერთი სწამდა, ღმერთს ემორჩილებოდა. ღმერთს თავისთან ყოველთვის კარგი უნდა, რომ ჰყავდეს და ამიგომაც გამოარჩია ჩვენგან. ქელს ვიხრით მისი კაცობის წინაშე. მიიღეთ ჩვენი სამძიმარი. ამ მწუხარე სამძიმრით გლოვის წილს ვიღებთ და გამშვიდებთ. ღმერთმა გიცხონოთ მკვდარი, მაღალი ღმერთი ყოფილიყოს მისი შემწე, რათა სამოთხის მასპინძლად გაიხადოს; თქვენ კი გმართებთ თავშეკავება და სიმტკიცე. თქვენმა უბედურებამ მთელი ხეობა დაამწუხრა. ღმერთმა დამრჩომი გიცოცხლოთ, დღეიდან სასიკეთო საქმეზე შევკრებილიყავით! *დაალ სოთბურ ლოუაჰდ შუნ!* ღმერთმა აგატანინოთ!

ჭირისუფალი პასუხობს:

– *ბარქალ! დეულ რეეზ ხილჷ!* გმადლობთ, დამშვიდდით, დიდი მადლობა მწუხარების გამიარებისთვის, განა მარტო ჩვენ დაგვმართია ეს უბედურება; განა თქვენ შვილი არ გიყვარდათ, რომ გამოგეცალათ? თქვენც უნდა მოითმინოთ, აიგანოთ. დიდი მადლობა თანადგომისთვის. ეს პირველი შემთხვევა არ არის, განგების საქმეა, უნდა გავმაგრდე! – ამშვილებს ჭირისუფალი სამძიმარზე მისულებს.

ქისტი მამაკაცები, როგორც წესი, მიცვალებულს არ გირიან. ისინი იჩენენ განსაკუთრებულ თავშეკავებას.

სამძიმარზე მისული მამაკაცები მიცვალებულის ოთახში არ შედიან და თანაგრძნობის გამოხატვის შემდეგ იქვე ეზოში განაგრძობენ მასლაათს.

სამძიმრის სათქმელად მოსული ქალები მიცვალებულის ოთახში შედიან და ჭირისუფალ ქალებს უსამძიმრებენ. ჭირისუფლები, როგორც წესი, მადლობას ეუბნებიან თანაგრძნობისთვის და მოსულებს ამხნეებენ კიდევ.

ლ. მარგოშვილის ცნობით, ‘უწინ საგირალში შორიდან ჯგუფურად მომავალი ქალები მიცვალებულის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, თავზე მუშტებს წაიშენდნენ, თმებს გაიწეწავდნენ, ერთ–ერთი მათგანი მოთქმით დაიწყებდა გირილს, დანარჩენები მას აჰყვებოდნენ და მარს აძლევდნენ, ასე შედიოდნენ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა“ [4. 196]. ქართველებისგან განსხვავებით, სამძიმარზე მისულმა ქისტებმა მიცვალებულის პატივსაცემად ყვავილებისა და ყვავილებისგან დაწნული გვირგვინების მიგანა არ იციან.

ქისტურად დაგირებას ჰქვია *ელხარ*. *ელხარ* არის ერთი ქალის გირილი, როცა მხოლოდ ერთი დასტირის მიცვალებულს. ქისტებმა იციან გუნდური მოთქმაც – *ბუახაბ*.

ქისტი ქალები, ხევსური ქალების მსგავსად, გარდაცვლილ ქმარს ხმით არ გირიან. უფრო მეტიც, ხევსური ქალები არც დალუპულ ვაჟზე გოდებენ. ნ. ბალიაურის ცნობით, ‘ხევსურეთში დედა შვილზე არ გირის, რადგან სირცხვილად ითვლება, გირის მხოლოდ ის დედა, რომელიც ხმით მაგირალია. ხმით მაგირალი ყველაზე გირის, როგორც ნათესავებზე ისე გარეშეზე: იგი პირველად გირის მიცვალებულზე ან თავის ახლობელზე, ან ვინმე სხვაზე. ხალხი ამბობს, მკვდრები აგირებენ, საიქითო შეუთვლიან, განა თავისი ნებით გირის? ასეთ მოგირალს ჰქვია ხმით მოგირალი“ [1. 44].

ქისტებში მიცვალებულს უფრო ახლო ნათესავები – დედა, დები, ქალიშვილები, რძლები – გირიან მოთქმით, მაღალი ხმით ამბობენ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს. ერთი მოგირალი ხმამაღლა მოთქვამს, მის გირილზე დანარჩენი მოგირლებიც აქვითინდებიან

და იქმნება “ზარი“. მოტირლები მონაცვლეობით ტირიან, ყოველი მოტირალი ქმნის ახალ, ორიგინალურ ტექსტს, რომელშიც ასახულია როგორც ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, ისე მისი წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, დამოკიდებულება მიცვალებულთან და სიკვდილ – სიცოცხლესთან. ისინი საიქიოს სამუდამო სამყოფად თვლიან. მათი შეხედულებით, ადამიანის მიერ ამქვეყნად გაცემული მაღლი გარდაცვალების შემდეგ სახლიდან სასუფეველისაკენ მიმავალ გზაზე იქნება დაკიდებული. სასუფეველში შემაჯავალ კართან კი ბეწვის ხიდი დახვდებათ. მართლები სასუფეველში შეაბიჯებენ, ცოდვილნი კი ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიგანჯებიან. როგორც მ. კიკნაძე აღნიშნავს, “წუთისოფელში დაგროვილი ღირსებები საიქიოში საგზლად მიჰყვება ადამიანს და განსაზღვრავს იქ მის მდგომარეობას“ [2. 136].

თუ მაჰმადიანურ რიტუალებს არ ჩავთვლით, ქისტური ნატირლები ძალიან ჰგავს თუშ-ფშავ-ხევსურულ დატირების ტექსტებს.

ქისტები, ისევე როგორც მათი მეზობელი მთიელები, ტირილის ღროს ძირითადად მიცვალებულის ღირსებებს ჩამოთვლიან. მის საქმიანობაზე საუბრობენ; თუ გარდაცვლილის სიკეთე ახსოვთ, აუცილებლად აღნიშნავენ. თუ მიცვალებული ახალგაზრდაა, ან უბედური შემთხვევით დაღუპული, უფრო ემოციურია ნატირალი.

დატირება ყოველთვის იმპროვიზაციაა. ამ ღროს მოტირალი დამსწრე საზოგადოებას უბიარებს არა მხოლოდ თავის მწუხარებას და ურთიერთობას გარდაცვლილთან, არამედ გვიხსიათებს მიცვალებულს, პოეტურად გადმოგვცემს მის ღირსებებს, წუთისოფელში განვლილ გზას.

ქისტები ქალის წარმოთქმულ ხმით ნატირალში გადმოცემულია როგორც პირადი სატკივარი, ისე საერთო მწუხარება და დამსწრე საზოგადოების განწყობილება. რამდენადაც გულში ჩამწვდომია მოტირალის სიტყვები, იმდენად ძლიერია ზარი და გლოვა. მოტირალთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. არც ნატირალის მოცულობაა განსაზღვრული. ტირის ყველა, ვისაც ეტირება და შეუძლია წარმოთქვას ნატირალი. ხმით ნატირალი ტექსტი ერთხელ წარმოითქმის, კონკრეტულ მიცვალებულთან და სხვაგან ის აღარ მეორდება. თუმცა კარგ ნატირალს ხალხის მესხიერება ინახავს. მოტირალი წინასწარი მოფიქრებისა და მომზადების გარეშე მიცვალებულის ცხედართან ქმნის სამგლოვიარო ტექსტს. ტირისუფალთან თანაგრძნობის სათქმელად მოსული საზოგადოებაც მონაწილეობს ნატირალის შექმნაში, მათ მიერ შექმნილი ემოციური გარემო კიდევ უფრო მძაფრ იმპულსს აძლევს მოტირალს ახალი

სიტყვების წარმოსათქმელად. აი, ასეთ გარემოში იქმნება ქისტური ხალხური სამგლოვიარო პოეზიის უბაღლო ნიმუშები. ეს ტექსტები სრულყოფილი პოეტური ძეგლებია, რომლებიც მსმენელზე ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ.

ქისტური ხმით ნატირალის სტრუქტურა ტრადიციას ემყარება. მასში გვხვდება ისეთი მყარი გამოთქმები, რომლებიც მრავალ ნატირალში მეორდება. ერთნაირი ფორმებით გამეორება უმთავრესად რეფრენის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, თუ და ტირის გარდაცვლილ ძმას, ხშირად იმეორებს: – *წახას აინარგ ალაჯ*, – დედის გაჩენილი მოგიკვდესო, ან – *ჯუფ აინარგ ალაჯ* – შენთან ერთად გაჩენილი მოგიკვდესო, ან კიდევ მოკლედ მიმართავს: – *აოშ ალაჯ* – და მოგიკვდესო. თუ რეფრენად რომელ გამოთქმას გამოიყენებს მოტირალი, დამოკიდებულია ნატირალის სტრიქონთა რიტმულ აღნაგობასა და მასში მარცვალთა რაოდენობაზე. თუ შეილი ტირის გარდაცვლილ მშობელს, ამბობს: – *წა აინარგ ალაჯ*, შენი გაჩენილი მოგიკვდესო. *დაღუპულ შეილზე მოტირალი დედა კი იმეორებს სიტყვებს: – წახას ალაჯ! ან წა ნახას ალაჯ* – დედა მოგიკვდესო!

ხმით მოტირალი ყოველი საღეჭო სტრიქონის ბოლოს ერთსა და იმავე სიტყვებს ემოციური განწყობილების გასაძლიერებლად იმეორებს. გარდა ამისა, რეფრენი ტექსტში რიტმული და მუსიკალური ელემენტია. მაგალითად:

*სო წა აჟალ მა დეძარეა, წა ნახას ალაჯ,*

*სო დედაგალ ჰაიე, წა ნახას ალაჯ,*

*მა ყუანახ კანთ ვერაჯ, წა ნახას ალაჯ,*

*კუძ სან დიქ დერე ღუაღლ, ჯჯუნ ცივა დიქ,*

*წა ნახას ალაჯ!*[2.

№ 30126].

(მე ხომ შენი დასამარხი ვიყავი, დედა მოგიკვდეს,

მეც, შენთან წამიყვანე, დედა მოგიკვდეს,

რა ლამაზი ბიჭი მყვანდი, დედა მოგიკვდეს,

როგორც აქ იყავი კარგად, ისე იყავი იქაც,

დედა მოგიკვდეს).

ზოგიერთ ტექსტში მოტირალი მიცვალებულს იმქვეყნად თავის გარდაცვლილ ნათესავებთან სხვადასხვა ამბავს აბარებს. უყვება ცხოვრებისეულ წვრილმანებზე; სთხოვს, რომ მოინახულოს მისი ახლობლები, გადასცენ მათი მწუხარების შესახებ და ა.შ.

ქისტურ ნატირლებში, და საერთოდ ამ ქანრის ტექსტებში, მხატვრულ ხერხად ხშირად არის გამოყენებული მიმართვა, მიმართვა მიცვალებულის მიმართ. თუმცა ეს მიმართვა სამძიმარზე მოსული

სამოგადოების გასაგონად არის გამოყენებული. ნატირლებში გამოხატულია უზომო მწუხარება, უკიდურესი დარდი და სევდა: – *“შა ხალ ხილლაჯ, ეალარ სუან”*! – რა ძნელი ყოფილა, შვილო, შენი სიკვდილი ჩემთვის. – აცხადებს შვილმკვდარი დედა. ხშირად ნატირალში დედა გარდაცვლილ შვილს იმქვეყნად წაყვანას ევედრება: *“ჯო დოცუშ მიშთ დახ აეძალას, უშენოდ როგორ უნდა ვიცხოვრო, ნანა დალაჯ, სო ივალ ჴეიც”*. დედა მოგიკვდეს, მეც წაშიყვანე შენთან! [2. № 30049].

ნატირალში მოგჯერ გადმოცემულია წყევლა, მოტირალი წყევლას უთვლის მკვლელს, დასახელებულია სიკვდილის მიზეზი: *“ბყერგიშ ტიდაილდ ჴო ვიანჩუე”*! – დაუბრმავდეს თვალები შენს მკვლელს! გვხვდება ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც მოტირალი საიქიოსკენ მიმავალ გზას ულოცავს გარდაცვლილ მშობლებს:

*“კუძ ხალუა თაეკანაეჯ ა, ეელ აას, აქ თუ ტანჯვა იწვნით, ცივა დიქა თაეკაილ ააშ”!* იქ სიკეთით გაგეტანოთ.  
ან

*“კუძ სან დიქა დერგ, ჴუონ ცივა დიქა.”* როგორც აქ იყავი კარგად, ისე [2. № 30126]. იყავი იქაც.

ქისტური ხმით ნატირლებისთვის დამახასიათებელია კონტრასტები. კონტრასტული სიტუაციები განსაკუთრებულ მხატვრულობას ანიჭებს ტექსტებს, უადრესად შთამბეჭდავი, ნათელი და ემოციური ხდება აზრი. ნატირლებში დაპირისპირებულია საიქიო და სააქაო, სიცოცხლე და სიკვდილი, ცა და მიწა. ერთ–ერთ ნატირალში შვილმკვდარი დედა მწუხარებით აცხადებს:

– *“სოხ ყა ხათიშ ლათი მიშთ ცა ჴიე,* ჩემი ცოდვით მიწა როგორ არ იძვრის,  
*აე სივილ მიშთ ცა აჟოლლალ!”* ან ცა როგორ არ იხსნება.  
[2. № 30054].

ქისტური ხმით ნატირლები მოგჯერ ცხრამარცვლიანი სალექსო სტრიქონებისაგან შედგება და უმთავრესად ურითმოა. თუმცა გვხვდება თორმეტმარცვლიანი ნატირალებიც. უფრო ხშირად მარცვალთა რაოდენობა არეულია სტრიქონებში და ტექსტს პოეტური რიტმი აწესრიგებს. ყველაფერი დამოკიდებულია მოტირალის ნიჭიერებაზე, მის შემოქმედებით უნარსა და ტალანტზე. პოეტიკის წესების დაცვით არის შესრულებული ტექსტი *“დეხ – ნეენახ აელხარ”* ანუ დედ–მამაზე ნატირალი:

– *“ვა ყა აინარგ აალარგ, შენი გაჩენილი მოვმკვდარიყავ, ვა ჴჯუანა აინარგ აალარგ, შენთვის გაჩენილი მოვმკვდარიყავ,*  
*შუ ბეეხინახ წა ჩუ, თქვენს ნაცხოვრებ სახლში,*  
*შუ დაელებელეჩ წა ჩუ, თქვენ, დაუძღურებულთ*  
*სო ჰუნძიეჯ ყო აიხ”* [2. № 30124]. მე ახლავე დაგიტირებთ.

პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ფოლკლორში გვხვდება მაჰმადიანური დატირების ტექსტებიც. ამგვარ ნატირალში რეფრენის ფუნქციას ასრულებს ალაჰისადმი მიმართვა – *‘ლაილაჰ ილალაჰ, ილალაჰო!’* ეს ტექსტები ისეთივე დილინით სრულდება, როგორც თუშ–ფშავ–ხევსურული ნატირლები. რეფრენი *‘ლაილაჰ ილალაჰ, ილალაჰო’* ვაინახურ ხალხურ ტექსტებში მაჰმადიანური რწმენის გაძლიერების შემდეგ დაშკვიდრდა და პანკისელი ქისტების ფოლკლორში მისი ასახვა ჩეჩნური მეპირსიციყვიერების გავლენით აიხსნება. მაგალითისთვის მოვიყვანთ დის ნატირალს ძმაზე:

*ლაილაჰ ილალაჰ, ლაილაჰა, ილალაჰო. ლაილაჰ ილალაჰ, ლაილაჰა,*

*ილალაჰო.*

*სო ჳწეერე დელაჰ ჰუანა, სან ეოშ, ილალაჰო; მე გავვიცი შენზე, ჩემოძმაო, ილალაჰო;*

*დეელა დეეყალ ვილაღ, სა ჳონსურ ეოშ, ილალაჰო; ღმერთო, აცხონე ჩემიძვირფასი ძმა, ილალაჰო;*

*ცუნ სინ ფარდათუა ლულაღ, ილალაჰო; მის სულს თავისუფლება მიეცი, ილალაჰო;*

*სან დელხარ ყოთბულ დილაღ ცუნ, ილალაჰო; ჩემი გირილი ალალი იყოს, ილალაჰო;*

*დაალა დეეყალ ვუაღლა გეჟ დუაღლა ჳუანა, ღმერთმა გაცხონოს, ღმერთი*

*ილალაჰო; იყოს შენი შემწე, ილალაჰო.*

*ლაილაჰ, ილალაჰ, ლაილაჰა, ილალაჰო! ლაილაჰ, ილალაჰ, ლაილაჰა, ილალაჰო!*

[2. № 30125].

ამ ტიპის ტექსტებში მიმართვამ *‘ილალაჰო’* შინაარსობრივი დატირება და აზრობრივი ფუნქცია დაკარგა. მასში (ილალაჰ-ო) – *ო* ბოლოსართი ქართული ენის წოდებითი ბრუნვის გავლენით არის გაჩენილი და მარისთვის აუცილებელი გრძლად წარმოსათქმელი ხმოვანიცაა. ქისტურ ხმით ნატირლებში *‘ილალაჰო’* უმთავრესად რეფრენის ფუნქციას ასრულებს. ეს გარემოება იმაზეც მიუთითებს, რომ ქისტურ სამგლოვიარო ტექსტებში მაჰმადიანური გამოთქმები მოგვიანებით, ხელოვნურად არის ჩართული.

ქისტური ხმით ნატირლები თავისი სტრუქტურით, გენეზისითა და შესრულების სტილით თუშ–ფშავ–ხევსურული ანალოგიური ეანრის ტექსტების მსგავსია.

მიცვალებული კაცის დაკრძალვას ქისტურად ჰქვია *დუაეჟალარ*, ქალის გაჰაგიოსნებას *დუაჟუალარ*, ბავშვის – *დუაღუალარ*, ბევრის ერთად დამარხვას კი *დუაბუახქარ*, დაკრძალვის

აღსანიშნავად, როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე გერმინი გამოიყენება, განსხვავებას ქმნის ვაინახური ენებისათვის დამახასიათებელი კლასისა და რიცხვის მაჩვენებლები.

ქართველების მსგავსად ქისტებიც მიცვალებულს შუადღით მარხავენ. დაკრძალვას ძირითადად გვარის უფროსი ხელმძღვანელობს. სანამ ცხედარს ოთახიდან ებოში გამოასვენებენ, გარდაცვლილის ან მისი მეზობლის სახლში იმართება რელიგიურ – სამგლოვიარო რიტუალი *მოხბარ* და მიცვალებულს ღმერთს ავეღრებენ. როგორც ცნობილია, ვაინახურ ენებზე ღმერთს ჰქვია *დელა*. ალაჰმა ვერ შეცვალა ვაინახებში ღმერთის აღმნიშვნელი გერმინი *დელა*. *მოხბარ* ღმერთის ანუ *დელას* სადიდებლად ქისტურ ენაზე წარმოთქმული საგალობელია. ამჟამად ამ ტიპის ტექსტებში ღმერთს ‘*ალაჰადაე*‘ მოიხსენიებენ. *მოხბარს*, როგორც წესი, მამაკაცები ასრულებენ. ისინი რიტუალის დაწყებისთანავე აკეთებენ წრეს, ერთი იწყებს ღიღინით ღვთისადმი სადიდებელს, შემდეგ დანარჩენები აპყვებიან და ისმის გაბმული გალობა. გალობასთან ერთად მიცვალებულის პატივსაცემად ისინი წრიულად უვლიან ფერხულს. როგორც ჩანს, ვაინახები უძველესი ღროიდანვე ასრულებდნენ ამ რიტუალს და, რასაკვირველია, არაბულ-მაჰმადიანური სამყარო მას არ იცნობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ *მოხბარ* ქართულ ენაზე სიგყვასიგყვით ითარგმნება როგორც *სიმღერის თქმა*. წოვათუშურად მოხ-ბ-არ – სიმღერის თქმა, ‘მოხ’ – სიმღერა ანუ საგალობელი. იგი ღვთის სავედრებელ-სადიდებელ ტექსტს წარმოადგენს და სხვადასხვა საკრალური სიგყვებისაგან შედგება. ღვთის სიგყვა, ღვთისადმი სათქმელი ტექსტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებში, მათ ჯვარ-ხატებში ღვთის რჩეულთა პირით წარმოითქმის. ვაინახების მეზობლად მცხოვრები ხევსურების კულტმსახურებაში გვხვდება პირისქარის სახელით ცნობილი ტექსტები, რომლებსაც ხევისბერი, ხუცესი ღიღინით ასრულებს: ‘ა-ა-ა დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულ ქრისტიანთა, მგესა და მგის მყოლთ ანგელოზთა...’ [7. 25] და ა.შ. როგორც ვხედავთ, ხევსურული *პირისქარი* და ვაინახური *მოხბარ* რიტუალური თვალსაზრისით ერთი წარმოშობის ტექსტებია. ეს რიტუალი ვაინახებში მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებამდე უნდა დამკვიდრებულიყო. შესრულების თვალსაზრისით *მუახბარი* ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებში აღვლენილ საფერხისო ტექსტ-სიმღერებსაც.

*მოხბარის* დასრულების შემდეგ, დაასლოებით დღის ორ საათზე, მიცვალებულს ოთახში ჯერ ტახტიდან ხალიჩადაფენილ

სპეციალურ საკაცებზე გადმოსვენებენ. საკაცე ანუ ლაამი კიბისებური მოყვანილობისაა და მისი სიგრძე არის ორ მეტრზე მეტი. საკაცეს აქვს ერთი მტკაველის სიმაღლე ფეხები, რითაც მას მიწაზე დგამენ.

ახალგაზრდა ნათესავებს სულარაში გახვეული ცხედარი ოთახიდან საკაცით გარეთ გამოაქვთ და ეზოს შუაგულში ათავსებენ ისე, რომ მიცვალებულს თავი აქვს მზის ჩასვლის, ხოლო ფეხები მზის ამოსვლის მხარეს, ანუ პირით მზის ამოსვლის მიმართულებით. მაჰმადიანური წესის თანახმად, ქისტები მიცვალებულს კუბოს გარეშე, სულარაში გახვეულს, მარხავენ.

ჭირისუფალი მამაკაცები ეზოში ქალებს დატირებას უკრძალავენ. სახლიდან მიცვალებულის გამოსვენებისთანავე სამძიმარზე მოსული საზოგადოება ეზოში სკამებიდან წამოიშლება და ღუმლით გამოხატავს თანაგრძნობას. ეზოს შუაგულში, საკაცებზე დასვენებული ცხედრის გარშემო, მოწვეს მამაკაცები წრეს აკეთებენ და მოლა იწყებს არაბულად ლოცვას, ლოცვას სამი თუ ოთხი მოლა მორიგეობით ასრულებს. ისინი გაუგებარ ტექსტებს მონოტონურად, სევდიანი ღვინით წარმოთქვამენ. დანარჩენები მოლების ლოცვას ყურს უგდებენ და მის სიტყვებს ემოწმებიან. ზოგიერთი ამბობს: – ამინ! თუმცა მოლების მიერ არაბულ ენაზე წარმოთქმული ტექსტის შინაარსი იქ თითქმის არაფერს იცის. ერთ-ერთ მოლას ხელში კრიალოსანი – *სოლჯანიშ* – უჭირავს და ყოველი ‘ლაილაჰილაჰის’ გაგონებაზე კრიალოსნის ერთ ქვას ჩამარცვლის. სულ კრიალოსნის ასი ქვა უნდა ჩამარცვლოს ანუ ასჯერ უნდა წარმოთქვან ‘ლაილაჰილაჰი’, რაც ნიშნავს, არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა. დანარჩენი საზოგადოება კი ღვთისადმი თხოვნის ნიშნად ორივე ხელს იდაყვებით გამოიშვერს.

ბოლოს ქისტების სასულიერო წინამძღოლი – იმამი, ტრადიციის მიხედვით, დაილოცება ქისტურ ენაზე და მიცვალებულს სასუფევლისაკენ მიმავალ გზას დაულოცავს:

– ამ უკუღმართი ქვეყნიდან იმ ნათელ ქვეყანაში მიმავალს ღვთის მაღლი დაგყვეს. თუ რამე დანაშაული გაქვს ჩადენილი ან სიბყვიით, ან საქმით, ან ნებით, ან მრუდედ გადააბიჯე, გაპატიოს ალაჰმა; თუ მარხვა ვერ შეინახე ისე, როგორც საჭიროა, ღმერთს ვთხოვე, გაპატიოს, სამოთხეში მოგახვედროს; თუ საფლავი პატარა გაქვს, გააფართოვოს, თუ დაყრილი მიწა მძიმეა, შეგიშუბუქოს; განსაკითხად მოსული ანგელოზები დაგეხმარონ, ნათელყონ შენი იმქვეყნიური გზა; ამქვეყნად თუ ნამდურავი დაგრჩა ვინმე, შეგარიგოს, გაპატიოს; ღმერთმა იმქვეყნად სამოთხის მუღმივი მაცხოვრებელი გაგხადოს!

სხვები იძახიან: – ამინ!

ემოში სამგლოვიარო რიტუალი მთავრდება იმამის მიერ წარმოთქმული არაბულ-მუსულმანური ლოცვით. შეიძლება იმამმა უარი განაცხადოს და მის მაგივრად მოლამ დაასრულოს.

ამის შემდეგ საკაცებე (*ლაამი*) დამაგრებულ ცხედარს ახალგაზრდები ეწევიან და სასაფლაოსკენ (*ქეშნაშ*) წაღებაში ერთმანეთს მორიგეობით ენაცვლებიან. მათ წინ პროცესიას მოლები უძღვებიან. ისინი დმერთს სთხოვენ, რომ მიცვალებული სამოთხეში მიიღოს. ისმის ლოცვა და გალობა არაბულად, ლაილაჰას ძახილი, არცერთი სიგვეა – ქისტური. ამ რიტუალს ქისტები ეძახიან *ძიქარს*.

ლ. მარგოშვილის ცნობით, ძიქარის თქმა იციან მიცვალებულის ოჯახიდან ემოში გამოგანის შემდეგ. ამ დროს წყდება ქალების ხმამაღალი გირილი. ამჟამად ძიქარის თქმით მიცვალებულის გარშემო რამდენჯერმე შემოვლაც იციან, შემდეგ გაჩერდებიან, წინ გამლილი ხელებით ჩუმად გაიმეორებენ ბოლო სიგვეებს და ამით დაამთავრებენ ამ რიტუალს. მიცვალებულის ემოდან გაგანის შემდეგ ძიქარის თქმით მივლენ სასაფლაოს კარებამდე [5. 137-138].

ქალებს, როგორც წესი, სასაფლაოზე წასვლა ეკრძალებათ.

სასაფლაოს კარებთან წყდება ლოცვა-ვედრება. ახალგაზრდებს მხრებზე უღვთ მიცვალებულის საკაცე და ელოდებიან, სანამ დაკრძალვაზე მოსული საზოგადოება მოგროვდება სასაფლაოზე. როდესაც ხალხის ნაწილი შევა სასაფლაოს ემოში, საკაცეს მიწაზე დგამენ და ალაჰის მორწმუნე კაცები ხუთი წუთის განმავლობაში ასრულებენ შუადღის ლოცვას ანუ ნამაზს.

ამის შემდეგ მიცვალებულის ცხედარი მიაქვთ მისთვის გამზადებულ საფლავთან. საფლავს ჰქვია *ქაშ*, ხოლო სასაფლაოს *ქეშნაშ*. სანამ დამარხავენ, ამოთხრილ საფლავს ზემოდან აფარებენ ძვირფას ატლასს, რომ ავმა თვალმა და მზემ არ ჩაიჭვრიტოს, ან წვიმა არ ჩავიდეს და სხვა. ამასობაში მოლა კითხულობს არაბულ ენაზე ლოცვებს. ლოცვის დამთავრების შემდეგ სუღარაში გახვეულ მიცვალებულს საფლავში ჩაუშვებენ და მის ძირში მარჯვენა მხარეს გამოთხრილ, წინასწარ საგანგებოდ გამზადებულ *ლაჯთ-ში* დებენ. კაცს მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალს კი მარცხენა გვერდზე აწვენენ. *ლაჯთი* არის გამოთხრილი სივრცე მიწაში, სადაც ცხედარს სამუდამოდ ათავსებენ. მას მუხის ფიცრებით ამოქოლავენ და აყრიან მიწას.

თავდაპირველად მიწას მუჭით ჭირისუფალი აყრის, რომელიც შეიძლება იყოს მიცვალებულის ვაჟი, მამა ან სხვა ახლობელი. ის ჯერ სამჯერ წარმოთქვამს ლოცვას ‘ბისმილაჰი ...’, ხელით აიღებს მიწას და ყრის საფლავში. შემდეგ ნათესავები და ახლობლები ერთმანეთს ართმევენ ნიჩბებს და მონაცვლეობით აყრიან მიწას. ბოლოს სამარეზე მიწას ამაღლებენ. ამაღლებულ მიწას ჰქვია *ბარდ*.

*ბარძის* გასწორება არ შეიძლება. *ბარძის* თავში, სადაც მოგვიანებით საფლავის ქვა უნდა დაიდგას, არჭობენ პატარა გამოჭრილ ხეს, რომელსაც ჰქვია *ჩურთ*. *ბარძისა და ჩურთის* გაკეთების შემდეგ მოლები ისევ ლოცულობენ.

*ჩურთის* გვერდით დგამენ წყლით სავსე კოკას, რომელსაც სახელურზე თეთრი ან ჭრელი მონარი აქვს შებმული. ეს კოკა საგანგებოდ განსვენებულის სახელზე ნაყიდი და მიცვალებულის ემოლან გამოსვენებისთანავე გამდინარე ნაკადულიდან წყალს იღებენ. კოკას ავსებენ წყლის დინების მიმართულებით, მემოდან ქვევით.

საფლავზე ლოცვის დასრულების შემდეგ მოლა კოკას ხსნის ლენტს და კოკიდან წყალს მთელ საფლავზე ასხამს. ამის შემდეგ ისინი კვლავ განსვენებულის ემოში ბრუნდებიან. ამასობაში, სანამ მამაკაცები სასაფლაოდან დაბრუნდებიან, ქელეხს ქალები მიირთმევენ.

ქელეხი მიცვალებულის პატივსაცემად იმართება და იგი რიტუალურია. უკანასკნელ წლებში, რაც ქისტებში მაჰმადიანობა განმტკიცდა, ქელეხს ისინი უწოდებენ *ბოორს*. ცოცხალი წინ კი ქელეხს ერქვა *მართ*. მაშინ სტუმრებს ალკოჰოლიანი სასმელებით მასპინძლობდნენ და მიცვალებულის სუფრა ძალიან ჰგავდა ქართულ ქელეხს. მართ ქისტურად ჰქვია საუმზესაც. ქელეხიდან მომავალ ქისტს ასე მიმართავენ ახლობლები: – *მერთიძე ვერიძე ჯო?* – ქელეხში იყავი შენ?

როდესაც სასაფლაოდან მამაკაცები გარდაცვლილის ემოში ბრუნდებიან, იქ ქელეხის სუფრა უკვე გაშლილია. მოლა კიდევ ერთხელ დაილოცება არაბულ ენაზე და ყველანი სხდებიან სუფრასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქელეხისთვის ძირითადად სამი დიდი საკლავი იკვლება. მოხარშული ხორცის გარდა სუფრაზე მოაქვთ პური, ყველი, ჯონჯოლი და ლიმონათი; თუ მაფხულია – კიჭრი და პამიდორიც. ბიჭები ჯერ სინებით ჩამოაგარებენ მოხარშულ ხორცს და ჩადგამენ ადგილ-ადგილ სუფრის შუაგულში, ხოლო შემდეგ სტუმრებისთვის ჯამებით მიაქვთ მოხარშული ხორცის ცხელი წვენი. წვენი შეზავებულია მწვანელებით. წვენს, კოვზის გარეშე, პირდაპირ ჯამებიდან მიირთმევენ.

ქელეხის დამთავრების შემდეგ მოლები კვლავ დაილოცებიან როგორც არაბულად, ისე ქისტურად. დმერთს სთხოვენ, რომ მიცვალებული წაიყვანოს სასუფეველში, მარადიულ ნათელში, ქელეხის სახით ღვთისთვის გაღებულმა *საყმა* მიცვალებულს მისცეს შვება და ცხოვება.

თუ მიცვალებულის დაკრძალვას ქართველი, ოსი ან სხვა ქრისტიანი სტუმრები ესწრებიან, მაშინ მასპინძელი ქისტები მემობლად, ახლობლის სახლში, მათთვის ცალკე შლიან ისეთივე სუფრას, როგორსაც ქართულ ქელეხში ამზადებენ. ამიტომაც ქისტები მას

ქართულ სუფრას ეძახიან. ის გამოირჩევა მრავალფეროვანი საჭმელებით, უალკოჰოლო სასმელებთან ერთად სკუმრებს ღვინითა და არყითაც უმასპინძლებიან. *“ქართულ სუფრას”* მიცვალებულის ახლობელი ქისტი მამაკაცი თამალობს. ის შესანდობარსა და სადღეგრძელოებს ისეთივე თანმიმდევრობით წარმოთქვამს, როგორც ქართულ ტრადიციულ სუფრაზეა მიღებული და იქ მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობენ.

მიცვალებულის დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ ჭირისუფლები ისევ ამზადებენ სუფრას, იწვევენ მოლებს, მართავენ ლოცვებსა და *ძიერთებს*, ქისტურად მას *სოლჯანიშ ჯოეძუარ* ანუ კრიალოსნების გრიალით ლოცვა ჰქვია.

ქრისტიანული ტრადიციის გავლენით 52 დღე-ღამის გავლის შემდეგ ქისტები მიცვალებულს უხდიან ორმოცს, რომელსაც *შოეზგყა დი* – *ბუესაეწოღება*. ასევე ქისტებმა იციან მიცვალებულის წლისთავი ანუ *შოკოთიხილა*.

ქართველი მთიელების მსგავსად მიცვალებულის წლისთავზე ქისტები გარდაცვლილის პატივსაცემად დოდს (*დუად*) მართავენ. მ. ალბუთაშვილის ცნობით, დოდში სამუალოდ 40-მდე ცხვარი და 9-10 სული ძროხა იკვებოდა, 15-16 ქვაბ არაყს და ლუღს ხდიდნენ, 30-მდე კოდ ხორბლის ფქვილის პურს აცხობდნენ [6].

ქისტები მიცვალებულის წლისთავზე პანკისში ზოგჯერ თუშ მამაკაცებს იწვევდნენ, რომლებიც *დალაობის რიგუალს* ასრულებდნენ. ბოლო წლებში მაჰმადიანური რელიგიის განმტკიცებასთან ერთად როგორც დოდი, ისე დალაობა პანკისელ ქისტებში თანდათან დავიწყებას მიეცა.

ვაჰაბიზმის მიმდევარი ქისტები, რომლებიც პანკისის ხეობაში 1999 წლიდან გამოჩნდნენ, ქელებს გამართვის წინააღმდეგნი არიან. ისინი ხალხურ წეს-ჩვეულებებს უარყოფენ. ამბობენ, ქრისტიანულიაო. მათი აზრით, მიცვალებული თუ ამქვეყნად ცოდეებს ჩადიოდა, მას ქელები არ უშველის და სამუდამო საგანჯველი არ ასცდება. – რამდენიც გინდა, იმდენი ძროხა დაუკალი, თუ ამქვეყნად არ ვარგოდა, ღმერთი იქ რას მისცემსო! – ამბობენ ვაჰაბისტები.

ვაჰაბიზმის მიმდევრები ჭირისუფალს მიცვალებულის ხმით დაგირებასაც უკრძალავენ: – ვისაც გირილი უნდა, ჩუმი იგროსო. დაკრძალვის შემდეგ ისინი კლავენ ერთ ძროხას და უმ ხორცს ხალხს ურიგებენ.

პანკისის ხეობის ყველა სოფლის სასაფლაო, *ქეშნაშ*, როგორც წესი, დაცულია ღობით. ქართველებისაგან განსხვავებით ცალკეულ საფლაოებს (*ქაშ*) ისინი მარმარილოს, რკინის ან სხვა სახის ღობეს არ უკეთებენ. ყოველი საფლაოს თავთან უბრალოდ აღმართულია

მარმარილოს ქვა და მასზე ამოტვიფრული ქართული წარწერა გვაუწყებს მიცვალებულის ვინაობას, მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლებს. ქისტურ საფლავებზე განსაკუთრებით პოპულარულია ეპიტაფიები. ქართულ ენაზე შესრულებული ეს პოეტური ნიმუშები, რომლებიც ზოგჯერ რამდენიმე სტროფისგან შედგება, პირველ რიგში გადმოგვცემს მიცვალებულის სულიერ განცდებს, ზოგჯერ მისი სიკვდილის მიზეზსა და ანდერძს. საფლავის ქვებზე ქისტები ტრადიციულად გამოსახავდნენ მიცვალებულის სურათსაც. თუმცა უკანასკნელ წლებში პანკისის ხეობაში მაჰმადიანური რელიგიის განმტკიცებასთან ერთად, ყურანის მითითებების მიხედვით, აიკრძალა საფლავის ქვაზე აღამიანის სახის გამოხატვა. პანკისის ხეობაში მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს ცალ-ცალკე მარხავდნენ. ლ. მარგოშვილის ცნობით, „სოფელ ღუისის სასაფლაო შემოღობილი იყო. თუ სოფელში ვინმე ქრისტიანი გარდაიცვლებოდა, მას ღობის გარეთ მარხავდნენ“ [5. 134].

ამჟამად პანკისელ ქისტებში მიცვალებულს ძირითადად მაჰმადიანური წესებით მარხავენ, თუმცა როგორც თავდაპირველი სამშობლოდან გადმოტანილმა წეს-აღათებმა, ისე ქართველ ხალხთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად შექმნილმა ტრადიციებმა მეტად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ტექსტები და რიტუალები. ქისტური ხმით ნატირლები, როგორც მეპირი პოეტური ტექსტები, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქართველი ვაინახების მდიდარი სულიერი კულტურის მანკენებელია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაური ნ., სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.
2. თსუფა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი).
3. კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2006.
4. მარგოშვილი ლ., პანკისის ხეობა, თბ., 2002.
5. მარგოშვილი ლ., ჩაცმულობა რომელიც მოდას არ დაგიდევთ, თბ., 1992.
6. ქისტი ჩობანი, გაზ. 'ივერია,' № 255, 28 ნოემბერი, 1902.
7. ჯვარ- ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზ. კიკნაძემ, ხ. მამისიმიედიშვილმა და გ. მახაურმა. თბ., 1998.

*Khvtiso Mamisimedishvili*

### **Mourning texts and rituals Kists of gorge Pankyss**

#### Summary

As time passed, colorful rules and traditions of mourning were established in the Kists life. The variety of mourning texts and rituals of the Kists of Pankisi were mainly the result of syncretism of Christian and Mohammedan religious views, migration processes and a strong influence of the Georgian culture.

Kisti women, like the Khevsurian ones, do not cry in voice when mourning over their dead husbands. In the Kists society, a dead man is mainly mourned over in voice by his close relatives such as mother, sisters, daughters, daughters-in-law and others. They bewail the words of farewell. The one in mourning cries in voice and she is then followed by others thus creating some kind of *khell*. Those in mourning bewail in turns, each of them creating one original text of mourning. All of them show the grief caused by losing a close person, their views of the paradise and their approach to death and life.

If not taking Mohammedan rituals into account, the mourning of the Kists is very much like the mourning texts of the Tushs, Pshavs and Khevsurians.

The Kists, like their neighboring highlanders, point out the dignities of the dead when mourning over. They talk about his acts in his life, and if any of them remembers the kind deeds by the dead in his life, they will surely mention them. If the man died at a young age or due to accident, the mourning is even more emotional.

The structure of the mourning texts of the Kists is based on their tradition and the texts include a range of viable impressions, which are repeated in a number of other texts. Repetition of the same forms mainly serves the function of refrain.

At present, the dead in the society of the Kists is mainly buried by Mohammedan rules, but the mourning texts and rituals of the Kists of Pankisi have been enriched and diversified by the customs and traditions inherited from their original homeland and as a result of many-year-long relations with the Georgians. The mourning in the voice of Kisti people and oral poetic texts are the demonstration of the rich spiritual culture of the Georgian Vainahs residing in Pankisi Gorge.